

სსიპ ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის
სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ერთეობიანი
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

*წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული
ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის
7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე*

ქ. გორი
2014 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7
4. დანართი 1	12
5. დანართი 2	13
6. დანართი 3	15

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.8 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

სსიპ ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	ს ა მ უ შ ა ო თ ა დასახელება	განზ. ერთეული	სულ
1	2	3	4
	1. დემონტაჟის სამუშაოები		
1	კედლებიდან საღებავის მოხსნა დაკეჭვით	კვ.მ.	45,00
2	კედლებიდან ნაღესის მოხსნა	კვ.მ.	3,30
3	იატაკის დემონტაჟი კონსტრუქციამდე	კვ.მ.	14,00
4	კარის ბლოკის დემონტაჟი	კვ.მ.	2,70
5	ხელსაბანის დემონტაჟი	ცალი	1,00
6	წყლის მილების დემონტაჟი	გრძ.მ.	1,50
7	საკანალიზაციო მილების დემონტაჟი	გრძ.მ.	1,50
8	არსებული რადიატორების დემონტაჟ-მონტაჟი	ცალი	1,00
9	შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან	ტონა	2,16
10	ნაგვის დატვირთვა ავტოვითმცლელზე	ტონა	2,16
11	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	2,16
	2. სამშენებლო სამუშაოები		
	კედლები		
1	ცემენტის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	3,30
2	გაჯის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	1,00
3	კარ-ფანჯრების ფერდობის გაჯის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	1,50
4	თაბაშირმუყაოს ორმაგი საკედლე ფილის მოწყობა	კვ.მ.	3,00
5	კედლების დამუშავება ფითხით და ზეთოვანი საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	27,20
6	ფითხით დამუშავება და წყალემულსიური საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	15,30
7	კერამიკული ფილებით მოპირკეთება	კვ.მ.	3,30
	იატაკი		
1	იზოლაცია პემზით	კუბ.მ.	1,60
2	ცემენტის ხსნარით მოჭიმვა, სისქით 40 მმ	კვ.მ.	14,00
3	შეწებებული ფანერის მოწყობა, სისქით 10 მმ	კვ.მ.	12,60
4	ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა პლინტუსების გათვალისწინებით (გერმანულის იდენტური/ანალოგი)	კვ.მ.	12,60
5	ხელოვნური გრანიტის ფილებით იატაკის მოწყობა	კვ.მ.	1,44
6	ალუმინის პროფილების მოწყობა იატაკის გადასვლის ადგილებში	გრძ.მ.	2,40
	ჭერი		
1	"ამსტრონგი"-ს ტიპის ჭერის მოწყობა	კვ.მ.	13,70
	კარ-ფანჯრები		
1	„მდფ“-ის ყრუ კარის მოწყობა	კვ.მ.	2,70
2	"მდფ" თამასების მოწყობა კარებზე 80*20 მმ	გრძ.მ.	5,90
3	ხის რაფის დამუშავება და შეღებვა	კვ.მ.	0,50
	3. სანტექნიკური სამუშაოები		
	წყალსადენ-კანალიზაცია		
1	პოლიპროპილენის მილების მოწყ. დ=50 მმ-მდე	გრძ.მ.	7,00

2	ვენტილაციის მოწყობა დ=50 მმ-მდე	ცალი	1,00
3	პლასტმასის საკანალიზაციო მილები დ=50 მმ	გრძ.მ.	6,00
4	ფასონური ნაწილების მოწყობა	ცალი	11,00
5	წყლის გამაცხელებელი ავზი 40ლ "არისტონი"-ს იდენტური ტიპის	ცალი	1,00
6	ხელსაბანი ნიჟარის მოწყობა	კომპლ	1,00
7	შემრევის მოწყობა ხელსაბანისთვის	ცალი	1,00
8	სისტემის პიდრო გამოცდა	ერთჯერადი	1,00
4. ელექტროსამონტაჟო სამუშაოები			
1	ავტომატური გამომრთველი 16ა-იანი, 1 ფაზა	ცალი	1,00
2	ლუმინესცენტური სანათი ოთხნათურიანი 4X18ვტ	ცალი	2,00
3	საშტეფსელო როზეტი მესამე დამამიწებელი კონტაქტით 220ვ	ცალი	4,00
4	ერთპოლუსიანი გამომრთველი 220ვ ძაბვაზე ორკლავიშიანი	ცალი	1,00
5	ლუმინისცენტური ნათურა. სიმძლავრე 18ვტ	ცალი	8,00
6	სპილენძის კაბელის მონტაჟი ლესილის ქვეშ კვეთით 3X1,5მმ2	გრძ.მ.	15,00
7	სპილენძის კაბელის მონტაჟი ლესილის ქვეშ კვეთით 3X2,5მმ2	გრძ.მ.	35,00

2.2 მიწოდების პირობები და ვადები:

2.2.1 წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში, შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2) და ფარული სამუშაოების აქტები (საჭიროების შემთხვევაში).

2.2.2 სამუშაოს შესრულების ადგილია - ქ. გორი, რუხაძის ქ.#62.

2.2.3 შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნადლო ანგარიშსწორებით, ლარში, სსიპ ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

2.3.3 შესყიდვისას წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

2.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.4.1 რეკვიზიტები, დანართი №1-ის მიხედვით.

2.4.2 ინფორმაცია შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სფეროში პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ (პრეტენდენტს ანალოგიურ სფეროში განხორციელებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო) წარმოდგენილ უნდა იქნას შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის სახით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გაფორმებული შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა #2) ასლების და/ან სხვა დოკუმენტების სახით.

2.4.3 შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისა და თანმდევი ხარჯების ჩათვლით, დანართი №2-ის მიხედვით.

2.4.4 შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

2.4.5 ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა. საგარანტიო ვადა არ უნდა იყოს 3 (სამი) წელზე ნაკლები, დანართი №3-ის მიხედვით.

2.4.6 ინფორმაცია სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ.

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის მასალების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა. სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დაუსაბუთებლობა ან/და ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა ან ზემოხსენებული დასაბუთების წარმოდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას.

3.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. გორი, რუხაძის ქ. №62. საკონტაქტო პირი: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი გელა ჯებისაშვილი ტელ: 0370270231; 595626111.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

/ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში/

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2014წ.
ერთის მხრივ სსიპ ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ

(შემდგომში „მიმწოდებელი“) (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის და გეგმა-გრავიკის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრავიკი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

3.2. სამუშაოს შესრულების ადგილია - ქ. გორი, რუხაძის ქ.#62.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს შესრულებული სამუშაოს პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

4.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

4.6 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.8 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა საბოლოო დასრულების შესახებ.

5.2. წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში, შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2).

5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5.4. სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 4.8 მუხლში აღნიშნული პირობების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.7. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.8 მუხლში მითითებული პირები).

5.8. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი სამუშაოების წარმოებისას;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.3. შეტყობინების მიღებისთანავე, აღმოფხვრას დეფექტი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.4. სამუშაოს განხორციელების განმავლობაში სრულად დაიცვას დადგენილი უსაფრთხოების წესები და მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც უზრუნველყოფს გარემოს, და სამუშაოებში მონაწილე ყველა პირთა უსაფრთხოებას.

8.4.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ 3 (სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (დეფექტი ნაკლოვანებები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინააღმდეგარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12 გარანტია

12.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოების განხორციელების დროს რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ.ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგრა

20.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდებლების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 8.4.5. პუნქტისა.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან).

22.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი (თანამდებობა):

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	ს ა მ უ შ ა ო თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	1. დემონტაჟის სამუშაოები									
1	კედლებიდან საღებავის მოხსნა დაკეჭვით	კვ.მ.	45,00							
2	კედლებიდან ნაღესის მოხსნა	კვ.მ.	3,30							
3	იატაკის დემონტაჟი კონსტრუქციამდე	კვ.მ.	14,00							
4	კარის ბლოკის დემონტაჟი	კვ.მ.	2,70							
5	ხელსაბანის დემონტაჟი	ცალი	1,00							
6	წყლის მიღების დემონტაჟი	გრძ.მ.	1,50							
7	საკანალიზაციო მილების დემონტაჟი	გრძ.მ.	1,50							
8	არსებული რადიატორების დემონტაჟ- მონტაჟი	ცალი	1,00							
9	შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან	ტონა	2,16							
10	ნაგვის დატვირთვა ავტოვითმცლელზე	ტონა	2,16							
11	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	2,16							
	ჯამი				-		-		-	-
	ზედნადები ხარჯები, არაუმეტეს	%	10,0		-		-		-	-
	ჯამი				-		-		-	-
	მოგება, არაუმეტეს	%	8,0		-		-		-	-
	ჯამი 1				-		-		-	-
	2. სამშენებლო სამუშაოები									
	კედლები									
1	ცემენტის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	3,30							
2	გაჯის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	1,00							
3	კარ-ფანჯრების ფერდობის გაჯის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	1,50							
4	თაბაშირმუყაოს ორმაგი საკედლე ფილის მოწყობა	კვ.მ.	3,00							
5	კედლების დამუშავება ფითხით და ზეთოვანი საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	27,20							
6	ფითხით დამუშავება და წყალემულსიური საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	15,30							
7	კერამიკული ფილებით მოპირკეთება	კვ.მ.	3,30							
	იატაკი									
1	იზოლაცია პემზით	კუბ.მ.	1,60							
2	ცემენტის ხსნარით მოჭიმვა, სისქით 40 მმ	კვ.მ.	14,00							
3	შეწებებული ფანერის მოწყობა, სისქით 10 მმ	კვ.მ.	12,60							
4	ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა პლინტუსების გათვალისწინებით (გერმანულის იდენტური/ანალოგი)	კვ.მ.	12,60							
5	ხელოვნური გრანიტის ფილებით იატაკის მოწყობა	კვ.მ.	1,44							
6	ალუმინის პროფილების მოწყობა იატაკის გადასვლის ადგილებში	გრძ.მ.	2,40							
	ჭერი									
1	"ამსტრონგი"-ს ტიპის ჭერის მოწყობა	კვ.მ.	13,70							
	კარ-ფანჯრები									
1	„მდფ“-ის ყრუ კარის მოწყობა	კვ.მ.	2,70							

2	"მდფ" თამასების მოწყობა კარებზე 80*20 მმ	გრძ.მ.	5,90										
3	ხის რაფის დამუშავება და შეღებვა	კვ.მ.	0,50										
	ჯამი												
	ზედნადები ხარჯები, არაუმეტეს	%											
	ჯამი												
	მოგება, არაუმეტეს	%											
	ჯამი 2												
	3. სანტექნიკური სამუშაოები												
	წყალსადენ-კანალიზაცია												
1	პოლიპროპილენის მილების მოწყ. დ=50 მმ-მდე	გრძ.მ.	7,00										
2	ვენტილაციის მოწყობა დ=50 მმ-მდე	ცალი	1,00										
3	პლასტმასის საკანალიზაციო მილები დ=50 მმ	გრძ.მ.	6,00										
4	ფასონური ნაწილების მოწყობა	ცალი	11,00										
5	წყლის გამაცხელებელი აუზი 40ლ "არისტონი"-ს იდენტური ტიპის	ცალი	1,00										
6	ხელსაბანი ნიჟარის მოწყობა	კომპლ	1,00										
7	შემრევის მოწყობა ხელსაბანისთვის	ცალი	1,00										
8	სისტემის პიდრო გამოცდა	ერთჯერადი	1,00										
	ჯამი												
	ზედნადები ხარჯები	%											
	ჯამი												
	მოგება	%											
	ჯამი 3												
	4. ელექტროსამონტაჟო სამუშაოები												
1	ავტომატური გამომრთველი 16ა-იანი, 1 ფაზა	ცალი	1,00										
2	ლუმინესცენტური სანათი ოთხნათურიანი 4X18ვტ	ცალი	2,00										
3	საშტეფსელო როზეტი მესამე დამამიწებელი კონტაქტით 220ვ	ცალი	4,00										
4	ერთპოლუსიანი გამომრთველი 220ვ ძაბვაზე ორკლავიშიანი	ცალი	1,00										
5	ლუმინისცენტური ნათურა. სიმძლავრე 18ვტ	ცალი	8,00										
6	სპილენძის კაბელის მონტაჟი ლესილის ქვეშ კვეთით 3X1,5მმ2	გრძ.მ.	15,00										
7	სპილენძის კაბელის მონტაჟი ლესილის ქვეშ კვეთით 3X2,5მმ2	გრძ.მ.	35,00										
	ჯამი												
	ზედნადები ხარჯები ხელფასიდან	%											
	ჯამი												
	მოგება	%											
	ჯამი 4												
	1+2+3+4 თავების ჯამი												
	მასალების ტრანსპორტი	%											
	ჯამი												
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	%	5,00										
	ჯამი												
	დღგ	%	18,0										
	სულ												

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

საგარანტიო პირობები და ვადები

ჩვენს მიერ ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის რეაბილიტაციაზე შესრულებულ სამუშაოზე _____ (ორგანიზაციის დასახელება) ვიძლევიტ გარანტიას სამუშაოს შესრულებიდან 3 (სამი) წელის განმავლობაში აღმოვფხვრათ ყველა დეფექტი, ან ნაკლი (უსასყიდლოდ), შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 10 (ათი) დღის ვადაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____